

მისია

შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი“ პროფესიული განათლების განვითარებითა და პოპულარიზებით უზრუნველყოფს საზოგადოების წინსვლას, პიროვნების პროფესიულ განვითარებას, მისი კარიერის ჩამოყალიბებასა და სოციალური დაცვის ხელშეწყობას; სასწავლებელი შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ამზადებს პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებს;

სასწავლებელს აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების კარგი გამოცდილება აქვს და კვლავ განაგრძობს ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით პროფესიული კადრების მომზადებას; ზრუნავს უწყვეტი და დინამიური თვითგანვითარებისათვის.

ჩვენი უმთავრესი მიზანია:

- გამოვიყენოთ არსებული პოტენციური საუკეთესო საგანმანათლებლო მომსახურების გასაწევად, სტუდენტებს შევთავაზოთ მაქსიმალურად კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი მომსახურება, რაც მათ მისცემს წარმატებით დასაქმების საშუალებას როგორც შიგა, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.
- პედაგოგიური პერსონალისათვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატიური სრულყოფა სტანდარტების შესაბამისად;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სასიამოვნო და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა.
- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორული ურთიერთობის დამყარება დამსაქმებლებთან და მათი მონაწილეობის ხელშეწყობა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.
- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრ კოლეჯებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება;